

# სპორტსმენის ადგილსამყოფელის კონტროლი

(მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს მასალების მიხედვით)

მოცემულ გამოცემაში მოყვანილია მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს (WADA) მასალები და რეკომენდაციები სპორტსმენთა ადგილსამყოფელის კონტროლის შესახებ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

განკუთვნილია სპორტული ფედერაციებისათვის (კავშირები, ასოციაციები), სპორტსმენებისათვის, მწვრთნელებისათვის და ანტიდოპინგური სამსახურის პასუხისმგებელი პირებისათვის.

## სარჩევი

ინფორმაციის მიწოდება სპორტსმენის ადგილსამყოფელის შესახებ

გლობალური ანტიდოპინგურ მონაცემთა ბაზა „ADAMS“  
კითხვები და პასუხები

სპორტსმენის ადგილსამყოფელის მონაცემთა ფორმები

## მსოფლიო ანტიდოპინგური კოდექსი

მსოფლიო ანტიდოპინგური კოდექსი მიღებულ იქნა 2003 წლის მარტში სპორტსმენების დოპინგისგან გათავისუფლებულ სპორტში მოღვაწეობის, მათი ჯანმრთელობის, სამართლიანობის პრინციპებისა და თანასწორობის უფლებების დაცვის მიზნით მთელს მსოფლიოში. ამასთანავე იგი შეიქმნა დოპინგის გამოყენებასთან საბრძოლველად როგორც ჰარმონიზებული, კოორდინირებული და ეფექტური საერთაშორისო დონის პროგრამა.

კოდექსის 143 მუხლის თანახმად, სპორტსმენები, რომლებიც ხვდებიან არასატურნირო პერიოდში ანტიდოპინგური ორგანიზაციების ან ეროვნული/საერთაშორისო ფედერაციების მიერ ტესტირების ჩატარების პროგრამაში, ვალდებული არიან დროულად წარმოადგინონ ზუსტი ინფორმაცია თავიანთი ადგილსამყოფელის შესახებ. ინფორმაცია შესაძლოა იქნას წარმოდგენილი როგორც პირადად სპორტსმენის მიერ, ისე ერთობლივი წერილობითი შეთანხმების სახით იმ ეროვნული ფედერაციის ან ეროვნული (რეგიონალური) ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ, რომელსაც სპორტსმენი აწვდის ინფორმაციას თავისი ადგილსამყოფელის შესახებ.

მაგრამ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სპორტსმენი წერილობითი სახით რწმუნებით აღჭურავს თავის ფედერაციას (ანტიდოპინგურ ორგანიზაციას), რათა მისი მეშვეობით იქნას მიწოდებული ინფორმაცია საერთაშორისო ფედერაციაში, მხოლოდ სპორტსმენი აგებს პასუხს ინფორმაციის მიწოდების დროულობასა და სისწორეზე.

უეცარი (არაანონსირებული) არასატურნირო შემოწმებები არის განუყოფელი ნაწილი ეფექტური დოპინგ-კონტროლისა. სპორტსმენის ადგილსამყოფელის ზუსტი ინფორმაციის ფლობის გარეშე, ასეთი ტიპის შემოწმება ხდება შეუძლებელი.

შესაბამისი მოთხოვნები დგინდება მოცემული სპორტის სახეობის საერთაშორისო ფედერაციისა და ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ იმისათვის, რომ იყვნენ მორგებულნი იმ სხვადასხვა გარემოებას, რომელიც ახასიათებს მოცემული სპორტის სახეობას და კონკრეტულ ქვეყანას.

მაშასადამე, სპორტსმენის საბოლოო პასუხისმგებლობა მდგომარეობს საკუთარი ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციის ზუსტ და დროულ მიწოდებაში, რომელიც მოიცავს ზუსტ ადგილს და დროს თუ სად იცხოვრებს, ივარჯიშებს და იასპარეზებს სპორტსმენი ყოველდღიურად.

სპორტსმენებმა უნდა განაახლონ ეს ინფორმაცია საჭიროების შემთხვევაში ისეთი სახით, რომ იგი იყოს ყოველთვის აქტუალური. სპორტსმენებს აქვთ უფლება მიუთითონ მათთვის მოსახერხებელი დრო დღე-ღამის განმავლობაში სინჯების ასაღებად.

ყოველი სინჯის ასაღებად დოპინგ-კონტროლის წარმომადგენელი ვალდებულია გამოცხადდეს ყველა იმ ადგილას იმ დროის მონაკვეთში, რომელიც სპორტსმენის მიერ იქნა მითითებული და მისი არყოფნის შემთხვევაში 2 საათი დაიცადოს თითოეულ პუნქტში.

დოპინგ-ტესტის განუხორციელებლობის შემთხვევაში სპორტსმენი ღებულობს შესაბამის შეტყობინებას და ვალდებულია ტესტის არ ჩატარების მიზეზთან დაკავშირებით ახსნა-განმარტება წარადგინოს საერთაშორისო ფედერაციაში.

ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმირების პირობების დარღვევისა და გასული 18 თვის განმავლობაში ორი ოფიციალური წერილობითი გაფრთხილების მიღების შემთხვევაში, სპორტსმენი ანტიდოპინგური კოდექსის მუხლი 2.4-ს თანახმად ითვლება დამნაშავედ და ისჯება ორ წლამდე დისკვალიფიკაციის სახით (მუხლი 10.4.3.).

სპორტსმენის ადგილსამყოფელის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია WADA-ს ვებ-გვერდზე:

<http://www.wada-ama.org> – ზე გადავიდეთ ADAMS დირექტორიაში (Anti-Doping Administration & Management System) – „ანტიდოპინგური მართვის სისტემა“.

ADAMS WADA Contacts

KARAM BIRDI [karam.birdi@wada-ama.org](mailto:karam.birdi@wada-ama.org) + 1 514 – 904 8787

CHAYA NDIAYE [chaya.ndiaye@wada-ama.org](mailto:chaya.ndiaye@wada-ama.org) + 1 514 – 904 8832

HENK MOHANLAL [henk.mohanlal@wada-ama.org](mailto:henk.mohanlal@wada-ama.org) + 1 514 – 904 8817

ბროშურის მომდევნო განყოფილებაში კითხვა-პასუხის სახით მოცემულია რეკომენდაციები სპორტსმენთა ადგილსამყოფელის კონტროლის შესახებ, გლობალური კომპიუტერული სისტემის „ADAMS“-ის მეშვეობით.

## გლობალური ანტიდოპინგურ მონაცემთა ბაზა „ADAMS“

### რა არის ADAMS?

**ADAMS** (Anti-Doping Administration & Management System) ნიშნავს „ანტიდოპინგური მართვის სისტემა“-ს.

ADAMS წარმოადგენს მართვად საინფორმაციო ბაზას, რომლის დანიშნულებაცაა გაამარტივოს სამუშაო როგორც WADA-სთვის, ისე ყველა დაინტერესებული მხარესათვის დოპინგთან ბრძოლის სფეროში. ADAMS არის ინფორმაციის მისაღები და შემნახველი სისტემა, რომელიც დაეხმარება სპორტსმენებს და ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს თავიანთი მოვალეობების შესრულებაში მსოფლიო ანტიდოპინგური კოდექსის თანახმად.

ADAMS სისტემა მოიცავს ანტიდოპინგური მოღვაწეობის ყველა ძირითად სტრატეგიას, როგორებიცაა ტესტირების შედეგების დამუშავება, აკრძალული სუბსტანციების თერაპიული მიზნებით გამოყენების ნებართვების აღრიცხვა, სპორტსმენთა ადგილსამყოფელის კონტროლი და ტესტირების ჩატარების დაგეგმარება.

სისტემაში მოთავსებული ნებისმიერი ინფორმაცია საიმედოდ დაცულია და მისადმი წვდომა მკაცრად კონტროლირდება. სხვადასხვა მხარეს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია მხოლოდ იმ რაოდენობით, რამდენის უფლებაც გააჩნია.

### ვის შეუძლია ისარგებლოს ADAMS-ით?

სისტემის მომხმარებლები გახდებიან შემდეგი პირები და ორგანიზაციები:

- სპორტსმენები
- ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციები
- რეგიონალური ანტიდოპინგური ორგანიზაციები
- საერთაშორისო სპორტული ფედერაციები
- ეროვნული სპორტული ფედერაციები
- მსხვილი შეჯიბრების ორგანიზატორები
- მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო (WADA)
- WADA-ს მიერ აკრედიტირებული ლაბორატორიები

### რა გზით შეუძლია დაეხმაროს ADAMS სისტემა საერთაშორისო ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს?

ADAMS არის გლობალური მონაცემთა ბაზა, რომელიც აძლევს საშუალებას სხვადასხვა ორგანიზაციას ეფექტურად აწარმოოს ინფორმაციის გაცვლა ანტიდოპინგურ სფეროში. ეს არის ეფექტური საშუალება დოპინგთან ბრძოლის პროცედურის გამარტივებისა, რომელსაც ატარებენ სხვადასხვა ორგანიზაციები რომელნიც:

- ცდილობენ იპოვონ ეფექტური (როგორც დროის, ისე ფინანსური თვალსაზრისით) მეთოდები ყოველდღიური ანტიდოპინგური მოღვაწეობის საკითხების გადაწყვეტისა;

- სურთ აქტიურად შეუწყონ ხელი ინფორმაციის გლობალური გაცვლის სისტემას;
- სურთ გამოიყენონ ცალკეული მოდულები როგორც არსებული სისტემების გასაუმჯობესებლად, ისე ინტეგრირებული გადაწყვეტილებების სახით ორგანიზაციური საჭიროებების საფუძველზე. ასეთი მოდულები მოიცავს: ტესტირებების შედეგებს, თერაპიული გამონაკლისებისა და სპორტსმენტა ადგილსამყოფელის კონტროლის საინფორმაციო ბაზებს, დოპინგ კონტროლს და ტესტირებების დაგეგმარებას.

## რა ფუნქციები გააჩნია ADAMS-ს?

ADAMS სისტემა მოიცავს 4 ძირითად პლატფორმას:

1. **სპორტსმენტების ადგილსამყოფელის კონტროლი. ესაჭიროება ორგანიზაციებს, რომლებიც:**
  - აწარმოებენ ამგვარი ინფორმაციის მოგროვებას. სპორტსმენტებს ან მათ წარმომადგენლებს ეძლევათ საშუალება შეავსონ სპეციალური ფორმა on-line რეჟიმში;
  - აფიქსირებენ არაზუსტი ან არაადეკვატური ინფორმაციის მოწოდების შემთხვევებს სპორტსმენტის ადგილსამყოფელის შესახებ;
  - საჭიროების შემთხვევაში უგზავნიან შეტყობინებებს სპორტსმენტებს;
  - აწვდიან საჭირო ინფორმაციას სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს;
  - იკვლევენ სისტემაში მომხდარ ყველა ცვლილებებსა და გაუმჯობესებას;
  - აწარმოებენ გამოკვლევებს და გამოსცემენ დასკვნებს.
2. **აკრძალული სუბსტანციების თერაპიული მიზნით გამოყენება (TUE). მოცემული პლატფორმა იძლევა საშუალებას:**
  - on-line რეჟიმში გაკეთდეს მოთხოვნა TUE-ზე (თუმცა, ხელმოწერილი ფორმულარი მაინც საჭიროა);
  - on-line რეჟიმში დამუშავდეს TUE მოთხოვნები;
  - სპორტსმენტს გაეგზავნოს შეტყობინება შემცირებული TUE პროცედურის ფორმულარის მიღების შესახებ;
  - სპორტსმენტს გაეგზავნოს შეტყობინება TUE-ს გაცემაზე უარის თქმის შესახებ;
  - სპორტსმენტს გაეგზავნოს TUE-ს სერტიფიკატები;
  - on-line რეჟიმში გაეგზავნოს შეტყობინება დაინტერესებულ მხარეებს TUE-ს ნებართვის მოქმედების შეწყვეტის ან ნებართვის სტატუსის შეცვლის შესახებ;
  - ინფორმაცია TUE-ს შესახებ მიწოდებული იქნას ყველა დაინტერესებული მხარისადმი.
  - მოახდინოს სინჯის არასასურველი შედეგის ანულირება მოქმედი TUE-ს ნებართვის დროს.

**3. დოპინგთან ბრძოლის მეთოდების საინფორმაციო ცენტრი. ამ პლატფორმის მეშვეობით შესაძლებელია:**

- სატურნირო და არასატურნირო დოპინგ კონტროლის ტესტირებების შესახებ ინფორმაციის შეტანა და წარმოდგენა დაინტერესებული მხარეებისათვის;
- ლაბორატორიული ტესტირებების შედეგების ინფორმაციის შეტანა და წარმოდგენა;
- TUE-ს ინფორმაციის წარმოდგენა;
- სინჯების არასასურველი შედეგებისა და სხვა ანტიდოპინგური წესების დარღვევის ინფორმაციის წარმოდგენა;
- დოპინგ კონტროლისა და ლაბორატორიული ტესტირებების შედეგების შეჯერება და მოწესრიგება;
- კოდექსის თანახმად საჭირო ინფორმაციის მიწოდება დაინტერესებული მხარეებისათვის;
- სტატისტიკური ანგარიშების შედგენა და გამოქვეყნება.

**4. დოპინგ-კონტროლის პლატფორმა. ამოცანა: სატურნირო და არასატურნირო დოპინგ-კონტროლის პროგრამების შემუშავება და განხორციელება, რაც მოიცავს:**

- რეგისტრირებადი ტესტირების პულის კონტროლი;
- ტესტირების ჩატარების გეგმის შემუშავება;
- სპორტსმენთა შერჩევა;
- Mission Orders-ის შექმნა;
- ჩატარებული ტესტირების შედეგების შეტანა;
- შედეგების დამუშავება მოსმენის, სანქციებისა და აპელაციის ჩათვლით;
- სპორტსმენების ტესტირების ისტორიის ვრცელი აღრიცხვის ბარათების შექმნა.

**რამდენად საიმედოაა დაცული ADAMS სისტემაში შეტანილი ინფორმაცია?**

ADAMS სისტემაში შეტანილი ინფორმაცია დაცულია საბანკო დაცვის სისტემის ანალოგიურად.

- მონაცემებისადმი წვდომა აქვთ მხოლოდ იმ ორგანიზაციებს, რომლებსაც გააჩნიათ ამის უფლება მსოფლიო ანტიდოპინგური პროგრამის (WADA, ეროვნული და რეგიონალური ანტიდოპინგური ორგანიზაციები, საერთაშორისო ფედერაციები, ლაბორატორიები და მსხვილი შეჯიბრების ორგანიზატორები) შესაბამისად.
- მომხმარებლებს (ეროვნულ ფედერაციებს, სპორტსმენებს, აგენტებს და სპორტსმენის პერსონალს) ექნებათ კონტროლირებადი წვდომა იმ ორგანიზაციების უფლებების შესაბამისად, რომლებშიც ისინი გაწევრიანებულნი არიან.
- კონკრეტულ მომხმარებლებს აქვთ წვდომა მხოლოდ იმ გარკვეული განყოფილებებისადმი, რომლებთანაც მუშაობის უფლება გააჩნიათ.

## როგორია ADAMS სისტემის მოხმარების ტექნოლოგიური მოთხოვნები?

ADAMS სისტემა შემუშავებულია ინტერნეტ-ტექნოლოგიებზე დაყრდნობით. ამისათვის ანტიდოპინგური ორგანიზაციების ინფორმაციულ-ტექნოლოგიური ბაზების მნიშვნელოვანი ტექნიკური აღჭურვა არაა სავალდებულო. სისტემაში სამუშაოდ საჭიროა:

- მაღალსიჩქარიანი ინტერნეტი (DSL, ADSL და ა.შ.);
- ოპერაციული სისტემა შემდეგი ბრაუზერებიდან ერთერთით 1) Microsoft Internet Explorer 5.5 SP2+, 2) Netscape Navigator version 7.0+, 3) Mozilla Firefox version 1.01+;
- 128 ბიტის SSL-ის მხარდაჭერა;

Microsoft Windows-ის მომხმარებლებისათვის სასურველია Internet Explorer 6.0+ გამოყენება. ასევე შესაძლებელია LINUX და MAC OS სისტემებით მუშაობა.

სპორტსმენებისათვის შესაძლოა წვდომა მოდემის მეშვეობით. დოკუმენტების გადასაგზავნად საჭიროა სკანერის ქონა.

## რამდენი დროა საჭირო ADAMS სისტემის დასაუფლებლად?

ტრენინგი საჭიროებს 2 დღეს. გარდა ამისა, გათვალისწინებულია შესწავლა და ტექნიკური მხარდაჭერა on-line რეჟიმში.

## ვინ ატარებს ტრენინგს?

WADA ან მისი წარმომადგენლები უტარებენ ტრენინგს ყოველი ორგანიზაციის თითო წარმომადგენელს, რომელიც პასუხს აგებს თავისი თანამშრომლების შემდგომ დატრენინგებაზე.

## საჭიროა თუ არა ფედერაციის მხრიდან რაიმე ფინანსური ხარჯების გაღება სისტემის ასამუშავებლად?

ინგლისურენოვანი და ფრანგულენოვანი ვერსიების გავრცელება ხდება უფასოდ. მომხმარებლების მხრიდან ხარჯების გაღება მდგომარეობს მხოლოდ სისტემის მშობლიურ ენაზე თარგმნაში, ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის მოწყობასა და სისტემასთან დაკავშირებაში.

## რა სახის ტექნიკური მხარდაჭერაა განპირობებული და არის თუ არა იგი ყოველთვის ხელმისაწვდომი?

WADA უზრუნველყოფს სისტემის სადღეღამისო ინფორმაციულ მხარდაჭერას კვირაში 5 დღის განმავლობაში. მოსალოდნელია, რომ სადღეღამისო საინფორმაციო მხარდაჭერა განხორციელდება კვირაში 7 დღის განმავლობაში, წელიწადში 365 დღე.

## ნახ. 1 პასუხისმგებლობა: სპორტსმენები ვალდებული არიან

- კარგად იცნობდნენ მსოფლიო ანტიდოპინგურ კოდექსს;
- აგებდნენ პასუხს ყველაფერზე, რასაც იღებენ ან ხმარობენ;
- საქმის კურსში ჩააყენონ სამედიცინო ან სხვა პერსონალი აკრძალული პრეპარატების ან მეთოდების გამოუყენებლობის თაობაზე;
- აუცილებლობის შემთხვევაში მიმართონ შესაბამის ინსტანციებს აკრძალული ნივთიერებების თერაპიული მიზნებით გამოყენებისათვის;
- წარადგინონ ინფორმაცია თავიანთი ადგილსამყოფელის შესახებ;
- იყვნენ სინჯების ჩაბარებისათვის მზადყოფნაში.

## **ნახ. 2 სპორტსმენების შერჩევა ტესტირების ჩასატარებლად**

- სპორტსმენების შერჩევა ტესტირების ჩასატარებლად ხდება მსოფლიო ანტიდოპინგური კოდექსის საერთაშორისო ტესტირების სტანდარტის შესაბამისად.
- არასატურნირო პერიოდში სპორტსმენის ტესტირება შეტყობინების გარეშე არის პრიორიტეტული როგორც WADA-სთვის, ისე ეროვნული და რეგიონალური ანტიდოპინგური ორგანიზაციებისათვის.

## **ნახ. 3 სპორტსმენის ადგილსამყოფლის კონტროლი**

- სპორტის სახეობის ფედერაცია ადგენს რეგისტრირებადი ტესტირების პულს (რტპ) სპორტსმენების ტესტირების ჩასატარებლად;
- რტპ-ში შემავალი სპორტსმენები ვალდებული არიან სამ თვეში ერთხელ წარმოადგინონ ფედერაციაში ინფორმაცია თავიანთი ადგილსამყოფელის შესახებ მსოფლიო ანტიდოპინგური კოდექსის წესების თანახმად.
- სპორტსმენი პასუხს აგებს თავისი ადგილსამყოფელის ინფორმაციის არ მიწოდებისათვის;
- სპორტსმენი ასევე აგებს პასუხს თავისი მიუწვდომლობისათვის ტესტირების გასავლელად.

## **ნახ. 4 სპორტსმენის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნა**

- იმ შემთხვევაში, თუ სპორტსმენი არ წარმოადგენს ინფორმაციას თავისი ადგილსამყოფელის შესახებ, იგი შესაძლოა დაისაჯოს დისკვალიფიკაციის სახით;
- *სამი (3) ოფიციალურ წერილობით შეტყობინებას 18 თვის განმავლობაში;*
- იმ შემთხვევაში, თუ სპორტსმენი მიუწვდომელი იქნება ტესტირების ჩასატარებლად, იგი ასევე შესაძლოა დაისაჯოს დისკვალიფიკაციის სახით;
- *სამი (3) მცდელობა დაკავშირებისა 18-თვიანი პერიოდის განმავლობაში.*

## **ნახ. 5,6,7,8,9,10,11 სპორტსმენის ადგილსამყოფელი**

**ნახ. 12,13,14,15,16 სპორტსმენის ადგილსამყოფელი. ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციის მიუწოდებლობა და გამოტოვებული ტესტები.**